

დერეკ პრინსი

მარხვა

2015

Fasting

Derek Prinse ministries
P.O. Bpx 19501
Charlotte. NC 28219-9501
www.drekpfrince.org

ebook ISBN: 978-1-60374-428-7

Produced in the United States of America

© 1986 by Derek Prinse ministries, international

Whitaker House
1030 Hunt Valley Circle
New Kensington, PA 15068
www.whitakrhouse.com

სარჩევი

1. მარხვის მთავარი მიზანი -----4
2. მარხვის მაგალითები ახალი აღთქმიდან ----11
3. როგორ გვცვლის მარხვა -----17
4. მარხვას შეუძლია ისტორიის შეცვლა -----24
5. მომზადება გვიანი წვიმისათვის -----30

თავი პირველი მარხვის მთავარი მიზანი

წარმატებული ქრისტიანული ცხოვრების დაკარგული გასაღები, რომლის პოვნაც ბიბლიაში არის შესაძლებელი და რომელიც ეკლესიას გვერდით აქვს გადადებული, არის მარხვა.

მარხვა, ჩემი განმარტებით არის საკვებისაგან საკუთარი ნებით თავის შეკავება სულიერი მიზნის მისაღწევად. ზოგჯერ მარხვისას ხალხი არამარტო საკვებისაგან იკავებს თავს, არამედ წყლისაგანც, ეს შეიძლება იყოს გამონაკლისი, ეს არაა წესი. საკვებისგან თავშეკავება არის ის მაგალითი, რომლითაც იესო უდაბნოში მარხულობდა თავისი მსახურების დაწყებამდე. მათ 4:2; ამბობს:

“და ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა და ბოლოს მოშივდა.”

აშკარაა, რომ იესო ამ ორმოცი დღის განმავლობაში წყლის მიღებისგან თავს არ იკავებდა, ვინაიდან თუ ის თავს იკავებდა წყლის მიღებისგან, მას მოშივებამდე მოსწყურდებოდა. ის ფაქტი, რომ წერილი არ ამბობს “მას წყალი მოსწყურდა”, არამედ “მოშივდა”, მიუთითებს, რომ იესომ თავი შეიკავა საკვებისაგან და არა წყლისაგან.

უცნაურია ის, რომ მრავალი ადამიანისათვის უცნობია მარხვა. ბიბლიის მიხედვით ღმერთის ხალხი მარხვას რეგულარულად იყენებდა. მარხვა ასევე მიღებულია მსოფლიოს მრავალი რელიგიისთვის, როგორცაა, მაგალითად ინდუიზმი, ბუდიზმი და ისლამი.

მარხვა საკუთარი თავმდაბლობისთვის

მარხვის უმთავრესი მიზანი არის საკუთარი თავის დამდაბლება. ეს არის ღმერთისაგან ჩვენთვის დადგენილი წმინდა წერილისმიერი საშუალება, რათა დავმდაბლდეთ მის წინაშე. ბიბლიაში ღმერთი მოითხოვს მისი ხალხისაგან თავი დაიმდაბლონ მის წინაშე. ამაზე წერილის მრავალი ადგილი მიუთითებს. აქ მოვიყვანთ ოთხ მათგანს ახალი აღთქმიდან.

“ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში.” მათ. 18:4;

“ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, ხოლო ვინც თავს დაიმდაბლებს ამაღლდება.” მათ. 23:12;

“დამდაბლდით უფლის წინაშე და იგი აგამაღლებთ თქვენ.” იაკობ. 4:10;

“მაშ, დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე.”

1 პეტრ. 5:6;

ამ მუხლების უმნიშვნელოვანესი შტრიხი არის ჩვენი პასუხისმგებლობა საკუთარი თავის

დამდაბლებზე. ჩვენ არ შეგვიძლია ამ პასუხისმგებლობის ღმერთზე გადატანა. არ შეგვიძლია ვილოცოთ: “ღმერთო გამხადე თავმდაბალი” ეს არ არის ბიბლიური. ვინაიდან ღმერთის პასუხი ამაზე არის: “დაიმდაბლეთ თავი”.

ბიბლიაში ღმერთმა გამოგვიცხადა თავის დამდაბლების პრაქტიკული გზა. დავითი წერს, რომ ამის საშუალება არის მარხვა, რომელსაც ის საკუთარი თავის დამდაბლებისთვის იყენებდა. *“ჩემს სულს მარხვით ვაძაბუნებდი”* ფსალ. 34:13;

განვიხილოთ ზოგიერთი ისტორიული მაგალითი, სადაც ღმერთის ხალხი ასეთი სახით იმდაბლებდა თავს. პირველად ჩვენ ვკითხულობთ ეზრას წიგნში იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებდა ეზრა ბაბილონში გადასახლებულ ხალხს უკან, იერუსალიმში დასაბრუნებლად. მათ წინ ხანგრძლივი მოგზაურობა აქვს და ის ქვეყნები უნდა გაიარონ, რომლებიც მათი მტრების მიერაა ოკუპირებული. მათ თან ახლავთ ცოლ-შვილი და ასევე ტაძრის წმინდა ჭურჭელი. მათ მართებთ დიდი სიფრთხილე. ეზრას ორი ალტერნატივა აქვს: მას შეუძლია მიმართოს სპარსეთის მეფეს მეზობლებისა და ცხენოსნებისთვის და მეორე, მიენდოს ღმერთს. მან აირჩია მინდობოდა ღმერთს და აი რას ამბობს იგი.

“და გამოვაცხადე იქ მარხვა, მდინარე აჰავაზე, რათა თავი დაგვემდაბლებინა ჩვენი ღმერთის წინაშე, გვეკითხა მისგან სწორი გზა ჩვენთვის და ჩვენი წვრილშვილისა და მთელი ჩვენი მონაგარისათვის, რადგან შემრცხვა მეთხოვა

მეფისთვის ლაშქარი და მხედრები მტრისაგან გზაზე თავის დასაცავად, რადგან ნათქვამი გვეონდა მეფისათვის: ჩვენი ღმერთის ხელი სასიკეთოა ყველასთვის, ვინც ეძებს მას, ხოლო მისი ძალა და რისხვა თავს ატყდება ყველას, ვინც მიატოვებს მას. და ვიმარხულეთ, ვთხოვეთ ჩვენს ღმერთს ეს და შეისმინა მან ჩვენი.” ეზრა. 8:21-23;

ეზრას ჰქონდა ორი ალტერნატივა: ერთი იყო ხორციელი, მეორე კი სულიერი. მას შეეძლო ხორცის მიხედვით მოქცეულიყო და გამოეთხოვა ჯარი, ეს ცოდვა არ იქნებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა დაბალი დონის რწმენა. ეზრამ აირჩია სულიერი ალტერნატივა, მან აირჩია მზერა ღმერთისათვის მიეპყრო, მისი ზებუნებრივი დახმარების და მფარველობის იმედით. ეზრამ და მასთან მყოფმა ხალხმა ზუსტად იცოდა, თუ როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ეს იყო ის, რასაც ისინი უკვე აკეთებდნენ. მათ იმარხულეს, დაიმდაბლეს თავიანთი სულები ღმერთის წინაშე და ღმერთმა შეისმინა მათი, უზრუნველყო მათი უსაფრთხო გადაადგილება, რასაც ითხოვდნენ.

წიგნში 2 ნეშტთა, ჩვენ ვკითხულობთ იმ შემთხვევის შესახებ, რომელსაც იუდას ისტორიაში ჰქონდა ადგილი, მაშინ როდესაც იოშაფატი იყო მეფე.

“და მოვიდნენ და ამბავი მოუტანეს იოშაფატს და უთხრეს: “დიდი ურდო გადმოვიდა შენს წინააღმდეგ საბრძოლველად ზღვის გალმიდან და არამიდან. აჰა, ისინი ხაცყეცონ-თამარში

არიან, ანუ ყენ-გედში.” და შეშინდა იოშაფატი და შესაკითხად უფალს მიმართა. და მთელ იუდაში მარხვა გამოაცხადა. და შეიკრიბა იუდა უფლისგან სათხოვრად. იუდას ყველა ქალაქიდან მოვიდნენ უფალთან სავედრებლად.”

2 ნეშთ. 20:2-4;

შემდეგ იოშაფატმა ილოცა ღმერთის წინაშე დახმარების თხოვნით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან ლოცვა ასე დაასრულა:

“ღმერთო ჩვენო, განა შენ არ დასდებ მათ მსჯავრს? რადგან უძლურნი ვართ ამ მრავალრიცხოვანი ურდოს წინაშე, ჩვენს წინააღმდეგ რომ არის მოსული. ჩვენ აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, რადგან შენსკენაა ჩვენი თვალი მიბურობილი.” 2 ნეშტ. 20:12;

აქ მთავარი ფრაზაა “ჩვენ აღარ ვიცით როგორ მოვიქცეთ“. ასე რომ, ისინი მივიდნენ ღმერთთან ზებუნებრივი დახმარებისათვის. მათ უარი თქვეს ბუნებრივზე, რაც მათ ბუნებრივად იცოდნენ და მოითხოვეს ზებუნებრივი.

ძველ აღთქმაში ჩვენ ვპოულობთ კიდევ ერთ მაგალითს მარხვის გამოყენების შესახებ, როგორც დადგენილებას გამოსყიდვის დღისათვის, რომელსაც იუდეველები იომ კიპურს უწოდებენ.

“იყოს ეს თქვენთვის საუკუნო წესად: მეშვიდე თვეს, თვის მეთე დღეს, დაიმდაბლეთ მარხვით სულნი თქვენნი და არავითარი საქმე არ გააკეთოთ, არც მკვიდრმა და არც თქვენს შორის მცხოვრებმა ხიზანმა. რადგან ამ დღეს შეგინდობთ მღვდელი, რათა შეგინდოთ ყოველი

თქვენი ცოდვა უფლის წინაშე შესანდობად. ეს შაბათი დასვენებისაა თქვენთვის, დაიმდაბლეთ მარხვით სულნი თქვენნი. ეს საუკუნო წესია.”
ლევ. 16:29-31;

ისტორიულად ჩვენ ვიცით, რომ 3500 წლის განმავლობაში ებრაელი ხალხი ყოველთვის იცავდა იომ კიპურს-გამოსყიდვის დღეს, როგორც მარხვის დღეს. ჩვენ ახალ აღთქმაშიც გვაქვს ამის მაგალითები. საქმე მოციქულთა წიგნის ერთი ადგილი აღწერს რა პავლეს რომში მოგზაურობას ზღვის გავლით, აღნიშნავს შემდეგს:

“რაკი საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ნაოსნობა გაძნელდა, ვინაიდან მარხვა უკვე გასული იყო...” საქ. 27:9;

მარხვა, რომელზეც აქ არის ლაპარაკი, იყო გამოსყიდვის დღე, რომელიც ყოველთვის აღინიშნებოდა სექტემბერში ან ოქტომბრის დასაწყისში. ჩვენ ახალი ღმერთიდან ვხედავთ, რომ გამოსყიდვის დღე აღინიშნებოდა მარხვით.

ღმერთი მოითხოვდა თავისი ხალხისაგან კოლექტიური მარხვით დაემდაბლებინათ თავი მის წინაშე. ეს იყო მითითება, დადგენილება გამოსყიდვის დღისათვის, რომელიც ყველაზე წმინდა დღე იყო ებრაულ კალენდარში.

ყურდლება მიაქციეთ ორ ფაქტს: 1. მარხვა იყო გამომხატურება ღმერთისმიერ განწმენდაზე და პატივზე. ღმერთი უზრუნველყოფდა ცერემონიას, რომლის დროსაც მღვდელმთავარი შედიოდა ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილას და პოვებდა გამოსყიდვას. 2. ეს გამოსყიდვა ეფექტური იყო

მხოლოდ მათთვის, ვინც მას მარხვის მეშვეობით იღებდა.

სხვა სიტყვებით: ღმერთი ასრულებდა გამოსყიდვის ნაწილს, მაგრამ ადამიანს უნდა შეესრულებინა ნაწილი თავისი პასუხისმგებლობისა. ეს ღმერთთან შეთანხმების ქვეყნარტებას წარმოადგენს. ღმერთი ასრულებს თავისი პასუხისმგებლობის ნაწილს, მაგრამ ის ელოდება გამოსმაურებას ჩვენგან. ზოგჯერ გამოსმაურება, რომელსაც ღმერთი ელოდება ჩვენგან, ძალიან სწრაფია.

ძველი აღთქმის დროს ღმერთი აბსოლუტურად ყველა მისი ადამიანისაგან მოითხოვდა მარხვას. ყველა, ვინც არ მარხულობდა გამოსყიდვის დღეს, მოკვეთილი უნდა ყოფილიყო და აღარ ჩაითვლებოდა ღმერთის ხალხად. ჩვენ ვხედავთ რომ ღმერთი, მის წინაშე დამდაბლებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მისი ხალხის მარხვას და ასეთნაირად ის ამზადებდა მათ იმ კურთხევის მისაღებად, რისი მიცემაც განზრახული ჰქონდა მათთვის.

თავი მეორე მარხვის მაგალითები ახალი აღთქმიდან

ჩვენ ვნახეთ, რომ მარხვა არის ის დაკარგული გასაღები, რომლის პოვნაც ბიბლიის ფურცლებზე შეიძლება. ეს ის გასაღებია, რომელიც ეკლესიის მიერ იყო უგულვებელყოფილი, გვერდით გადადებული.

როგორც ეს ბიბლიაშია წარმოდგენილი, მარხვის უმთავრესი მიზანი არის საკუთარი თავის დამდაბლება. მარხვა არის წერილისმიერი საშუალება ჩვენს დასამდაბლებლად. ბიბლიაში ღმერთი მოითხოვდა მისი ხალხისაგან, რომ დამდაბლებულიყვნენ მის წინაშე და დამდაბლებისათვის პრაქტიკული, უბრალო საშუალება რომელსაც ღმერთი გვიცხადებს, არის მარხვა.

ჩვენ უკვე ვნახეთ რამდენიმე ისტორიული მაგალითი ძველი აღთქმიდან. ფსალმუნთა წიგნში ვნახეთ დავითის მაგალითი, ეზრას მაგალითი, ბაბილონში გადასახლებულების დაბრუნების მაგალითი, იოშაფატი, იუდეველი ხალხი და გამოსყიდვის დღე, როდესაც ყველა იუდეველ მორწმუნეს უნდა ემარხულა.

მე მჯერა, რომ მარხვის ძირითად არსს წარმოადგენს ბუნებრივის უარყოფა და ზებუნებრივის პოვნა. ჩვენთვის ყველაზე ბუნებრივი რამ არის

საკვების მიღება. როდესაც ჩვენ უარს ვამბობთ საკვების მიღებაზე, უარს ვამბობთ ბუნებრივზე და მივმართავთ ღმერთს ზებუნებრივისათვის. ამას ძალიან ღრმა მნიშვნელობა აქვს.

მარხვა იესოს ცხოვრებაში

მარხვა იყო იესოს და ეკლესიის ცხოვრების, მსახურების ნაწილი. იესო უპირველესყოვლისა მარხვას იყენებდა, როგორც ამას სახარება გადმოგვცემს.

“იესო, სულიწმიდით აღვსილი დაბრუნდა იორდანედან და სულით გაყვანილ იქნა უდაბნოში და ორმოც დღეს სცდიდა მას ეშმაკი და არაფერი უჭამია იმ დღეებში, და მათი გასვლის შემდეგ მოშივდა.” ლუკ. 4:1-2;

როგორც უკვე განვმარტეთ, წერილი მიუთითებს, რომ იესო თავს იკავებდა საკვებისაგან, მაგრამ სავარაუდოა რომ წყალს იღებდა.

სანამ იესო მსახურებას დაიწყებდა, მოუხდა ორი კრიტიკული განცდის გადატანა.

პირველი, როდესაც მასზე სულიწმიდა გადმოვიდა, ის შემოსილი იქნა სულიწმიდის ზებუნებრივი ძალით მსახურებისათვის, მაგრამ იესო მაშინვე არ ჩართულა მსახურებაში.

მეორე განცდა არის ორმოცდღიანი მარხვა უდაბნოში, მან თავი შეიკავა საკვებისაგან და ყურადღება გადაიტანა სულიერზე. ცხადია, რომ მას ამ დროის განმავლობაში ჰქონდა უშუალო, პირისპირ კონფლიქტი სატანასთან და მარხვის მეშვეობით ამ კონფლიქტიდან ის გამარჯვებული გამოვიდა.

ეს ილუსტრაცია მიუთითებს, რომ თუ გვინდა გამარჯვებული ვიყოთ სატანაზე, მარხვა ჩვენს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს. თუ იესო გამარჯვებისათვის მარხვას იყენებდა, მე სხვა გზას ვერ ვხედავ თოთოეული ჩვენგანისთვის გამარჯვების მისაღწევად.

მოდით ვნახოთ მარხვის შედეგი იესოს ცხოვრებაში.

ლუკ. 4:14-ში ნათქვამია. *“დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში და მისი ამბავი მოედო მთელ არემარეს.”*

არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება ორ ფრაზას შორის. როდესაც იესო წავიდა უდაბნოში, სახარება ამბობს, რომ ის იყო სულით აღვსილი. მაგრამ, როდესაც ის ორმოცი დღის შემდეგ დაბრუნდა, ნათქვამია: “სულის ძალით”. ერთია იყო სულით აღვსილი და სულ სხვაა იყო სულის ძალით. მონათვლის შემდეგ ღვთის სული იყო მასზე, მაგრამ მარხვამ მოახდინა სულის ძალის გამონთავისუფლება, რათა მას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ემოქმედა მის ცხოვრებაში და მსახურებაში. მე მჯერა, რომ ეს სანიმუშოა ჩვენთვის.

იოან. 14:12-ში იესომ შემდეგი რამ თქვა: *“ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ.”*

მინდა აღვნიშნო რომ საქმეები, რისი კეთებაც იესომ დაიწყო, მარხვით დაიწყო.

თუ ჩვენ გვინდა გავაკეთოთ იგივე საქმეები, ლოგიკურია, რომ ჩვენც იქედან უნდა დავიწყოთ, საიდანაც მან დაიწყო-მარხვით.

იესო ასევე ასწავლიდა მარხვას თავის მოწაფეებს. მთაზე ქადაგებისას, მან უთხრა თავის მიდევრებს:

“ხოლო შენ, როცა მარხულობ, იცხე თავზე და დაიბანე პირი, რათა ადამიანებს კი არ ეჩვენო მარხულად, არამედ დაფარულში მყოფ შენს მამას. და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულში, ცხადად მოგიზღაურს.” მათ. 6:17-18;

მათ, ვინც სწორი მოტივით და სწორად მარხულობს, იესო ჰპირდება საზღაურს. ყურადღება მიაქციეთ ერთ პატარა, მნიშვნელოვან სიტყვას. იესომ თქვა: “როცა მარხულობ”, მას არ უთქვამს “თუ მარხულობ”. მას რომ ეთქვა “თუ”, მაშინ ის დაუშვებდა შესაძლებლობას, რომ მათ შეუძლიათ არ იმარხულონ, მაგრამ მან თქვა “როცა მარხულობ”. მან დაასკვნა და ნათლად თქვა, რომ ისინი უნდა მარხულობდნენ.

მათეს სახარების მეექვსე თავის თემა არის სამი უმთავრესი ქრისტიანული მოვალეობა: გაცემა ღარიბებისათვის, ლოცვა და მარხვა. სამივესთან მიმართებაში იესომ გამოიყენა სიტყვა “როცა . ის არასდროს ამბობს “თუ”. მე-2-ე მუხლში მან თქვა “როცა მოწყალებას გასცემ” და მე-17-ე მუხლში ამბობს “როცა მარხულობ”, მას არ მოუცია უფლება, რომ არ გააკეთო ეს სამი რამ. მან გაცემა, ლოცვა და მარხვა ერთ დონეზე დააყენა.

მრავალი ქრისტიანი, ყოველგვარი კითხვის გარეშე თვლის, რომ ლოცვა და გაცემა არის ჩვენი მოვალეობა, მაგრამ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებით ჩვენი ვალდებულება ასევე ვიმარხულოთ.

მარხვა ადრეულ ეკლესიაში

მარხვას არამარტო იესო იყენებდა, არამედ ახალი აღთქმის ეკლესიაც. მოციქულთა საქმის 13:1-4-ში ჩვენ ვკითხულობთ ანტიოქიის ეკლესიის შესახებ.

“იყვნენ ანტიოქიაში, იქაურ ეკლესიაში, წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი: ბარნაბა და სიმონი, რომელსაც ნიგერი ერქვა, ლუკიოს კვირუნელი და მანაინი - ტეტრარქის - ჰეროდეს - ძუძუმტე, და სავლე. როცა ისინი უფალს ემსახურობდნენ და მარხულობდნენ, თქვა სულიწმიდამ: “გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე. მაშინ იმარხულეს, ილოცეს, ხელები დაასხეს მათ და გაუშვეს. ამრიგად, სულიწმიდის მიერ მივლინებულნი ჩავიდნენ ისინი სელევკიაში და იქიდან გასცურეს კვიპროსზე.”

ეკლესიის ლიდერები მსახურობდნენ და მარხულობდნენ ერთად. მათ მარხვის დროს მიიღეს გაცემისა და ლოცვის სულიწმიდისაგან, რომ ორი მათგანი წარგზავნილი ყოფილიყო სპეციალური სამოციქულო მსახურების შესასრულებლად. გაცემა-დების მიღების შემდეგ მათ მაშინვე არ წარუგზავნიათ ისინი, არამედ მათ კვლავ იმარხულეს, ილოცეს, ხელები დაასხეს და შემდეგ ნათქვამია,

რომ ისინი წარგზავნილები იყვნენ “სულიწმიდის მიერ”.

ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ მარხვას გადავყვართ ბუნებრივიდან ზებუნებრივში. როდესაც ეკლესიის ხელმძღვანელები მარხვის მეშვეობით გამოვიდნენ ბუნებრივი სამყაროდან, მათ მიიღეს ზებუნებრივი გამოცხადება და ძალაუფლება. სულიწმიდამ საკუთარ თავზე აიღო იმის პასუხისმგებლობა, რასაც ისინი აკეთებდნენ. ეს გზაკი გახსნილი იყო მათი კოლექტიური მარხვის მეშვეობით.

მას შემდეგ, რაც ბარნაბა და პავლე წავიდნენ მსახურების შესასრულებლად, ვკითხულობთ თუ რა გააკეთეს მათ, როდესაც სხვათა ქალაქებში დააფუძნეს ახალი ეკლესიები, სადაც მრავალი ახალმოქცეული იყო.

“ხელი დაასხეს მათ თითოეულ ეკლესიაში უბუცესებს და ლოცვითა და მარხვით შეავედრეს ისინი უფალს, რომელიც ირწმუნეს.” საქ. 14:23;

მარხვა არ იყო უბრალოდ უჩვეულო მოვლენა. მას იყენებდნენ მოციქულები და ასწავლიდნენ ამის შესახებ ახალ მონაფეებს.

ორი მთავარი მოვლენა სახარების გავრცელებისას ადრეულ ეკლესიაში იყო: მოციქულების წარგზავნა და ახალმოქცეულების განმტკიცება უხუცესთა დაყენების მეშვეობით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ეკლესია არცერთ ზემოთხსენებულ მოქმედებას არ აკეთებდა მარხვის, ღმერთის ზებუნებრივი მიმართულებისა და დახმარების გარეშე. სალი აზრიდან გამომდინარე

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეული ეკლესიის ზრდა და გაფართოება განპირობებული იყო კოლექტიური მარხვით.

საბოლოოდ, ჩვენ გვინდა წავიკითხოთ პავლეს მოწმობა მისი ცხოვრებისა და მსახურების შესახებ. გვახსოვდეს, რომ პავლე იყო იმ ორი პიროვნებიდან ერთერთი, რომელიც იყო გამოყენებული ზემოთ მოყვანილ ამბავში. 2კორინთელთა 6:4-6-ში პავლე ამბობს:

“არამედ ყველაფერში წარმოვდგებით, როგორც ღვთის მსახურნი: დიდ მოთმინებაში, მწუხარებაში, გაჭირვებაში, შევიწროებაში, ცემაში, საპყრობილეებში, შფოთში, უძილობაში, მარხვაში, სინშიდეში, ცოდნაში, სახიერებაში, სულიწმიდაში და უანგარო სიყვარულში.”

პავლე აღწერს მისი მსახურების მრავალ ასპექტს და ყოფაქცევას, რომლებიც ასევე ახასიათებდათ მის თანამშრომლებს, როგორც ღმერთის ჭეშმარიტ მსახურებს.

თავი მესამე როგორ გვცვლის მარხვა

აქამდე ჩვენ განვიხილავდით, რომ მარხვა არის საკვებისგან ნებაყოფლობითი თავშეკავება სულიერი მიზნის მისაღწევად. მარხვა არის ის საშუალება, რომელიც ღმერთმა დაადგინა მისი ხალხის თავმდაბლობისათვის მის წინაშე. იესო

მარხულობდა და ასწავლიდა მოწაფეებს გაეკეთებინათ იგივე. ახალი აღთქმის ეკლესია იყენებდა მისი მოძღვრის მაგალითს. როდესაც იესო საუბრობდა მარხვაზე, მას არ უთქვამს “თუ თქვენ მარხულობთ, არამედ “როცა თქვენ მარხულობთ.” მან მარხვა მოწყალებასა და ლოცვასთან ერთად ერთ დონეზე დააყენა.

ჩვენ გვესაჭიროება განვიხილოთ მარხვის მექანიზმი, თუ როგორ ცვლის ის შინაგან პიროვნებას. პირველი, რისი ნახვაც ჩვენ წერილიდან გვესაჭიროება, არის ძალა, რომელიც შესაძლებელს ხდის ქრისტიანულ ცხოვრებას და ეს არის სულიწმიდა. არანაირ სხვა ძალას არ შეუძლია ვიცხოვროთ იმ ცხოვრებით, რომელსაც, როგორც ქრისტიანისაგან, ღმერთი მოითხოვს. ამის გაკეთება შეუძლებელია ჩვენი ნებით ან შესაძლებლობით. ამის მიღწევა მხოლოდ სულიწმიდაზე დამოკიდებულებით შეიძლება. ასე რომ, წარმატებული ქრისტიანული ცხოვრების გასაღები არის ვიცოდეთ, თუ როგორ გამოვანთავისუფლოთ სულიწმიდის ძალა ჩვენს ცხოვრებაში ისე, რომ შევძლოთ იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც არ შეგვიძლია ჩვენი ძალით.

იესომ ეს მისი მოწაფეებისათვის ცხადყო აღდგომის შემდეგ, მანამდე, სანამ ისინი შეუდგებოდნენ მსახურებას. საქ. 1:8-ში მან თქვა.

“მაგრამ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამართაში, და დედამინის კიდემდე.”

მან თქვა შემდეგი რამ: იმისათვის, რომ გააკეთო ის, რისთვისაც მე მოგიწოდებ, თქვენ გესაჭიროებათ ძალა, რომელიც თქვენს ძალაზე აღმატებულია. ეს ძალა გადმოვა სულიწმიდისაგან. არ ნახვიდეთ და არ დაინყოთ მსახურება, სანამ სულიწმიდის ეს ძალა არ გადმოვა თქვენზე. შეადარეთ ეს პავლეს სიტყვებს ეფესელთა მიმართ წერილში, სადაც ის საუბრობს ლოცვის ძალის შესახებ:

“ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ,” ეფეს. 3:20;

პავლე ამბობს, რომ რისი გაკეთებაც ღმერთს შეუძლია, ძალიან აღემატება იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ ან წარმოვიდგენთ. მაგრამ ეს დამოკიდებულია მის ძალაზე, რომელიც ჩვენში მოქმედებს. ხარისხი იმისა, რისი გაკეთებაც ღმერთს ძალუძს ჩვენგან, არ არის დამოკიდებული ჩვენს აზროვნებაზე ან წარმოდგენაზე. ეს დამოკიდებულია მის ზებუნებრივ ძალაზე, რომელიც გამოვანთავისუფლებულია ჩვენში და ჩვენს მიერ, ეს იქნება ლოცვით, ქადაგებით თუ მსახურების სხვა ფორმით. მთავარია ვიცოდეთ, თუ როგორ გამოვანთავისუფლოთ სულიწმიდის ძალა და ვიყოთ ჭურჭელი, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებს იმოქმედოს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ უმთავრეს წმინდა წერილისმიერ ფაქტზე. ძველი, ხორციელი ბუნება ეწინააღმდეგება სულიწმიდას. ძველი ბუნების არსი და ხასიათი მდგომარეობს

იმაში, რომ ის ადგილს არ უთმობს სულიწმიდას. ახალ აღთქმაში ხორციელ ბუნებას, იმას, რაც ჩვენ ვართ მანამ, სანამ ხელახლადშობით გარდავიქმნებით, ეწოდება ბოროტი. ეს ტერმინი არ ნიშნავს სხეულს, ეს არის მთლიანად ის ბუნება, რომელიც ჩვენ მივიღეთ ჩვენი მამა-პაპისაგან, ადამისაგან, რომელიც აჯანყდა. სხვა სიტყვებით, სადღაც ჩვენში შეუმჩნევლად იმყოფება ჯანყი-დაუმორჩილებლობა. ეს არის ბოროტი ბუნება.

გალტ. 5:16-17-ში პავლე საუბრობს ხორციელი ბუნების შესახებ:

“აჰა მე ვამბობ, მოიქეციოთ სულიერად და არ აღასრულებთ ხორცის გულისთვის. ვინაიდან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.”

ეს ძალიან ნათელი და მნიშვნელოვანია. ხორციელი ბუნება ეწინააღმდეგება ღმერთის სულს. თუ ჩვენ ადგილს ვუთმობთ ხორციელ ბუნებას, ჩვენ ვეწინააღმდეგებით ღმერთის სულს. თუ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ადგილი დავუთმოთ სულიწმიდას, ჩვენ საქმე უნდა მოვაგვაროთ ხორციელ ბუნებასთან, ვინაიდან მაშინ, როდესაც ხორციელი ბუნება გვაკონტროლებს და მოქმედებს ჩვენგან, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იქნება სულიწმიდის წინააღმდეგ. ეს არ შეეხება მხოლოდ ჩვენს ფიზიკურ სურვილს, არამედ, ეს ასევე შეეხება იმას, რასაც ბიბლია უწოდებს ხორციელ ბუნებას, რისი მემკვიდრეობითაც ძველი,

ხორციელი, განუახლებელი ბუნება ფიქრობს.

რომაელთა მიმართ მიწერილ წერილში პავლე შემდეგ განცხადებას აკეთებს ხორციელი გონების შესახებ:

“... ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია.” რომ.8:7;

ძალზედ ძლიერია სიტყვები, რომელსაც პავლე ამბობს. ის ამბობს, რომ ხორცი ეწინააღმდეგება სულიწმიდას, ის ასევე ამბობს, რომ ხორციელი ბუნება არის ღმერთის მიმართ მტრობა. აქ არ არსებობს ნეიტრალიტეტი. არ არსებობს იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია ხორციელი ბუნება და გონება ვაიძულოთ იმოქმედოს ღმერთის ნებით. ეს შეუძლებელია. ხორციელი გონება, მისი ბუნების გამო, ღმერთის მიმართ მტრობაა.

რა არის ხორციელი ბუნება? მე ამას შემდგენაირად ვგებულობ: ეს არის ძველი, განუახლებელი მშვინვა მისივე ფუნქციებით. მშვინვის ფუნქციებია, ნება, ინტელექტი და ემოციები. თითოეული მათგანის აღწერა ადვილი შესაძლებელია. ნება ამბობს: “მე მინდა”. ინტელექტი (ანუ გონება) ამბობს: “მე ვფიქრობ”. ემოცია კი ამბობს: “მე ვგრძნობ”. ბუნებრივი, განუახლებელი ადამიანი მართული და კონტროლირებადია ეგოს ამ სამი გამოვლინებით: “მე მინდა”, “მე ვფიქრობ” და “მე ვგრძნობ”. ეს არის ის, თუ როგორ მოქმედებს ხორციელი ბუნება.

თუ ჩვენ გვინდა დავემორჩილოთ სულიწმიდას და სულიწმიდამ ჩვენში თავისუფლად

იმოქმედოს, მაშინ ხორციელი ბუნება უნდა დავეუმორჩილოთ სულიწმიდას. ჩვენი მე მინდა, მე ვფიქრობ და მე ვგრძნობ უნდა დავეუმორჩილოთ ღმერთის სულს. ღმერთის მიერ მოცემული ნიმუშის თანახმად, რომელიც წმინდა წერილშია მოცემული, ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მარხვით. ასე იქცეოდა იესო, პავლე და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა პავლე ხორციელ ბუნებას და როგორ მოიპოვა მან მასზე გამარჯვება. 1კორ. 9:25-27-ში პავლე ამ ბრძოლას აღწერს ათლეტის მაგალითის გამოყენებით, რომელიც ვარჯიშობს, რათა წარმატებას მიაღწიოს.

“ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისგან. ისინი - ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი - უხრწნადისა. ამიტომ მე გავრბივარ არა უმიზნოდ, ვიბრძვი არა ისე, ვითომც პაერს ვგვემდე. არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, მე თვითონ უღირსი არ დავრჩე.”

პავლე მიხვდა რომ, თუ მას გადაწყვეტილი აქვს წარმატებით შეასრულოს ცხოვრებაში ღვთიური მონოდება, მას ესაჭიროება მისი ხორციელი ბუნება მორჩილებაში ჰყავდეს. თითოეული ჩვენგანის წინაშე ისმის კითხვა: ჩვენში ვინ არის ბატონი და ვინ მსახური? სხეულია ბატონი და სული კი მონა? თუ სულია ბატონი და სხეული კი მსახური? მე ამას გეტყვით: თქვენი

სხეული ჩინებული მსახურია, მაგრამ ის საშინელი ბატონია.

მე მახსენდება ერთი ჩემი მეგობრის ამბავი, რომელიც ვაშინგტონში ადვოკატი იყო. მან მონაშინა ჩემი სწავლება მარხვის შესახებ და გადანყვიტა, რომ ეს არის ის, რაც ესაჭიროება. მან გამოყო დღე მარხვისათვის და მას უბედური დღე ქონდა. ყოველთვის, როცა ის ქუჩაში დადიოდა, თავის თავს გრძნობდა რესტორნის წინ, სადაც ვიტრინაში გამოფენილია სხვადასხვა კერძები, ირგვლივ ყველაფერი გაჟღენთილია მათი სურნელით. მას ჰქონდა საშინელი ბრძოლა თავშეკავებასთან. დღის ბოლოს ის გაესაუბრა თავის კუჭს. მან უთხრა: კუჭო! შენ დღეს ძალიან დაუმორჩილებელი იყავი, ძალიან ბევრი პრობლემა შემიქმენი, რაც საჭირო სულაც არ იყო და ამიტომ დაგსჯი. მე გადავწყვიტე დღევანდელი დღის მსაგვსად ხვალაც ვიმარხულო.

ჩემთვის ეს უდიდესი გაკვეთილია იმის დასადგენად, თუ ვინ არის ბატონი და ვინ მსახური. გახსოვდეთ, თქვენი სხეული ჩინებული მსახურია, მაგრამ საშინელი ბატონი. თუ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ იყოთ წარმატებული ქრისტიანულ ცხოვრებაში და მოიპოვო ქრისტიანი ათლეტი-ს გვირგვინი, უნდა დაამტკიცოთ ფაქტი თქვენს პირად გამოცდილებაში, რომ თქვენი სხეული არ გკარნახობთ და არ გაკონტროლებთ მისივე სურვილებით და მადით. უკეთესია გაკონტროლებული იყოთ ღმერთის ზებუნებრივი მონოდებით და მიზნით, რაც მას აქვს სხეულის

დამორჩილებისათვის, რათა მან არ გიკარნახოთ, ან ხელი არ შეგიშალოთ სარბიელის გარბენაში. მე მჯერა, რომ ამის გაკეთების საუკეთესო საშუალება არის რეგულარული მარხვა.

როდესაც მარხულობ, უმასპინძლდები შენს სულსაც და სხეულსაც, ასევე შენს ხორციელ ბუნებას: შენ ვერ გამაკონტროლებ მე, შენ ჩემი მსახური ხარ, მე არ გემორჩილები შენ. მე იმას ვემორჩილები, რასაც ღმერთის სული აცხადებს ჩემში, ეს არის რაც მე უნდა გავაკეთო.

თავი მეოთხე მარხვას შეუძლია ისტორიის შეცვლა

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ ცვლის მარხვა ჩვენს შინაგან პიროვნებას ცალკეული პრინციპების შესაბამისად. უპირველესყოვლისა უნდა ვალიაროთ, რომ ქრისტიანული ცხოვრების ძალა მდგომარეობს სულიწმიდაში. სულიწმიდაა ის ძალა, რომელიც ნებისმიერ პიროვნებას წარუძღვება ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისაკენ. მეორე. ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ ხორცი, ჩვენი ხორციელი ბუნება ეწინააღმდეგება სულიწმიდას. ისინი უშუალოდ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. თუ ხორცი ძლევს, სულიწმიდა ვერ იმოქმედებს. მესამე. მარხვა არის ღმერთის მეთოდი და და

გენილია იმისათვის, რომ მორჩილებაში მოვიყვანოთ ხორცი. ამის შემდეგ სულიწმიდა თავისუფალია შეგვმოსოს ძალით, რათა ვაკეთოთ ის, რაც ღმერთს სურს.

პირადად მე მჯერა, რომ არ არსებობს იმ საოცარი ძალის გაზომვის საშუალება, რომლის გამონათავისუფლება ხდება ლოცვისა და მარხვის საშუალებით, როდესაც ის ხდება წმინდა წერილის საფუძველზე და გამოყენებულია სწორი მოტივებით. ამ ძალას არა მარტო ინდივიდის ან ოჯახის შეცვლა შეუძლია, არამედ ქალაქების, ერების და მთელი ცივილიზაციის.

ახლა მსურს გიჩვენოთ ბიბლიიდან მაგალითები, თუ როგორ გავლენას ახდენდა მარხვა ქალაქის ბედზე, ერებზე და იმპერიებზე. ჩვენი პირველი მაგალითი არის იონა წინასწარმეტყველის წიგნიდან. ღმერთმა მოუწოდა იონას, ისრაელის წინასწარმეტყველს, წასულიყო ნინეფიაში, წარმართთა ქალაქში და ასურეთის იმპერიის დედაქალაქში. იონამ უარი განაცხადა წასვლაზე და ცდილობდა ღმერთისაგან გაქცევას, მაგრამ ღმერთი მას ძალიან მკაცრად მოექცა, რის შესახებაც გადმოცემულია იონას წინასწარმეტყველების მესამე თავში.

იყო მეორედ უფლის სიტყვა იონაზე. *“ადექი, წადი ნინეფეში, დიდ ქალაქში, და იქადაგე საქადაგებელი, რასაც მე გეტყვი. ადგა იონა და წავიდა ნინეფეში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქი იყო ღვთის წინაშე ნინეფე, სამი დღის სავალი. იარა იონამ ერთ დღეს ქალაქში,*

ქადაგებდა და ამბობდა: “კიდევ ორმოცი დღე და დაიქცევა ნინევე.” იონა 3:1-4;

იონას ქადაგება იყო ძალიან უბრალო, ქალაქის საბოლოო გაფრთხილება გარდაუვალი სამსჯავროს შესახებ. ნინეველების გამოსმაურება შესამჩნევი იყო:

“ინამეს ნინეველებმა ღმერთი, გამოაცხადეს მარხვა და დიდინანატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ. შეიტყო ეს ამბავი ნინევეს მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალო ჩაიცვა და ნაცარში ჩაჯდა.” იონა3:5-6;

ეს არის სურათი მონანიებით, მარხვით და გოდებით ქალაქის ღმერთისაკენ შემობრუნების შესახებ. ბრძანება, რომელიც მეფემ გასცა, მეტად აღსანიშნავია:

გამოაცხადებინა ნინევეში მეფისა და მისი კარისკაცების ბრძანება: “არც კაცმა, არც პირუტყვმა, ძროხამ თუ ცხვარმა, არ ჭამოს, არ მოძოვოს, არც წყალი დალიოს.” იონა 3:7;

ეს იყო საერთო მარხვა, არა მარტო ქალაქში მაცხოვრებელი ადამიანებისათვის, არამედ შიანური ცხოველებისათვისაც. მათ არა მარტო საკვებისგან შეიკავეს თავი, არამედ წყლის დაღვევისგანაც და ეს ასე ხდებოდა:

“ჯვალო ატაროს კაცმაც და პირუტყვმაც, მთელი ძალით შეჰლაღადონ ღმერთს, დააგდონ ბოროტების გზა და ყველა ავი საქმე, რაშიც კი ხელი აქვთ გარეული.” იონა 3:8;

ეს საერთო გამოსმაურება ძალიან მნიშვნელოვანია. მარხვას არანაირი სარგებლის მოტანა არ

შეუძლია, თუ ჩვენ კვლავ არასწორად მოვიქცევით, მაგრამ ეს არის ძვირფასი სულიერი დახმარება, რათა შემოვბრუნდეთ არასწორისაგან სწორის საკეთებლად.

ასე რომ, ნინეველებმა არამარტო იმარხულეს და ჯვალოთი შეიმოსნენ, არამედ შემდეგი განხადებაც გააკეთეს: “დაუგდოთ ბოროტების გზა და ყველა ავი საქმე”. წერილის სხვა ადგილიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ნინეველების მთავარი ცოდვა იყო ავი საქმეები. ამის შემდეგ ასეთნაირი განცხადება კეთდება.

“ვინ იცის, კიდევ შეინანოს ღმერთმა, დაუცხრეს რისხვა და აღარ დავიღუპოთ! შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა და შეინანა ღმერთმა, ბოროტის ყოფას რომ უპირებდა მათ და აღარ უყო.” იონა3:9-10;

თქვენ გემახსოვრებათ, რომ იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა მონანიების უწყებას. როდესაც მასთან ხალხი მიდიოდა ნათლობის, როგორც მონანიების, ნიშნის მისაღებად, ის ეუბნებოდა:

მე მინდა ვნახო მონანიების ნაყოფი თქვენს ცხოვრებაში. არ იქნება კარგი ნათქვამი, რომ თქვენ მოინანიეთ, თუ მე თქვენს მოქმედებაში შედეგი ვერ ვნახე. ნახეთ მათ. 3:7-8;

ნინეველთა შემთხვევაში ღმერთმა დაინახა, თუ როგორ შემობრუნდნენ ისინი თავიანთი ბოროტებისაგან, მან შეინყალა და არ გაანდგურა ისინი, როგორც მას ჰქონდა განსაზღვრული.

ძალიან საინტერესოა ისტორიული შედეგის ნახვა. ნინევეა მის საბოლოო განადგურებამდე

ორასი წელი არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში ღმერთს ისრაელში მრავალი წინასწარმეტყველი ჰყავდა, ისეთები, როგორც ამოსი და ოსიას, რომლებიც აუწყებდნენ სასამართლოს შესახებ და ისრაელს მონანიებისაკენ მოუწოდებდნენ. ისრაელში ასეთი სურათი იყო: ისრაელს ჰქონდა წერილი, მათ ჰქონდათ მოსეს რჯული და მათ ჰყავდათ წინასწარმეტყველები. მრავალი წინასწარმეტყველი იყო წარგზავნილი ისრაელთან, მაგრამ ისინი არ მოექცნენ.

ისრაელისგან განსხვავებით ნინეფიაში არ იყო მსაგვსი ფონი. ერთხელ წავიდა წინასწარმეტყველი ნინეფიაში და მთელი ქალაქი მოექცა. ეს შესანიშნავია! საინტერესოა ის, რომ ნინეფია შეინარჩუნა ღმერთმა და შემდეგ ასურეთის იმპერია, რომლის დედაქალაქიც ნინეფია იყო, გამოიყენა ღმერთმა ისრაელისათვის მსჯავრის დასადებად.

მე მჯერა, ღმერთის მსჯავრდადება ისრაელზე არის გაფრთხილება დასავლეთის ერებზე, სადაც ჩვენ გვაქვს წმინდა წერილის შემეცნებისა და ორგანიზებული ეკლესიების დიდი ქრისტიანული წარსული. ისე ხომ არ ხდება, რომ ღმერთი საუბრობდა, მაგრამ ჩვენ ისეთივე ყრუები აღმოვჩნდით, როგორც ისრაელი? ისე ხომ არ ხდება, რომ ღმერთი წარგზავნის მქადაგებელს, სადაც არ არის არანაირი ქრისტიანული წარსული, რათა მოექცნენ ისინი და შემდეგ გამოიყენოს ეს ერები მსჯავრის მოსატანად? ისეთი ერი, როგორიცაა ჩინეთი, ხომ არ იქნება გამოყენებული ქრისტიანულ ერებზე მსჯავრის დასადებად?

ეს უწყება ხომ არ შეგვეხება ჩვენ?

მეორე მაგალითისთვის, თუ როგორ იქნა შეცვლილი ისტორია მარხვის მეშვეობით, გადავზალთ ესთერის წიგნი. ებრაელი ხალხი იყო გადასახლებაში სპარსეთის იმპერიაში, რომელიც შედგებოდა 127 პროვინციისაგან და ფარავდა მთელს ძველ მსოფლიოს ეგვიპტიდან ინდოეთამდე. პრაქტიკულად თითოეული ებრაელი, ვინც ამ დროს ცხოვრობდა, დაბადებული იყო სპარსეთის იმპერიაში.

ჰამანმა დაიკავა უდიდესი პოლიტიკური თანამდებობა სპარსეთის იმპერიაში. მან შესთავაზა მეფეს გამოეცა ბრძანება ყველა ებრაელის გასანადგურებლად, ვინც იყო სპარსეთის იმპერიის ქვეშემრდომი. ეს იყო ყველაზე ფართომასშტაბიანი ებრაელთა დაგეგმილი ჟლეტვა, თუკი ვინმეს ოდესმე აზრად მოსვლია. იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე ეს ადოლფ ჰიტლერმა გააკეთა მეორე მსოფლიო ომის დროს. ეს ისეთი კრიზისი იყო, რომლის მსგავსიც არასოდეს არ მომხდარა მათ ისტორიაში. ამ კრიზისზე ებრაელი ერის გამომხაურება იყო მარხვით და ლოცვით ღმერთისკენ მოქცევა.

დედოფალმა ესთერმა (რომელიც ებრაელი იყო, მეფემ კი არ იცოდა მისი წარმომავლობა) წარმოგვიდგინა მაგალითი, რომელიც თაობებისათვის გახდა ნიმუში ლოცვის, მარხვის და შუამდგომლობისა, რომელიც ცვლის ისტორიას. ეს აღწერილია ესთ. 4:15-17-ში.

“მიუგო პასუხად ესთერმა მორდექაის: “ნადი,

თავი მოუყარე შუშანის მთელ იუდაელობას და იმარხულეთ ჩემთვის; და ნუ ჭამთ და ნუ სვამთ სამ დღეს, ნურც ლამით და ნურც დღისით; მეც ვიმარხულებ ჩემს მხევლებთან ერთად; ასე ნავალ მეფესთან, თუმცა ეს კანონს ეწინააღმდეგება. და, თუ დავიღუპები, დავიღუპო!” და ნავიდა მორდექაი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ესთერმა დაარჩია.”

ებრაელმა ხალხმა იცოდა რა უნდა გაეკეთებინა. ეს დადგენილი იყო გამოსყიდვის დღისთვის. მათ იცოდნენ, რომ ღმერთის წინაშე დამდაბლების საშუალება იყო მარხვა. ყველა ებრაელი დედაქალაქში, ესთერიდან დაწყებული მარხულობდა და ლოცულობდა სამი დღის განმავლობაში. რა იყო ამის შემდეგ? ესთერის 5:1-3-ში ჩვენ შემდეგ სიტყვებს ვკითხულობთ:

“მესამე დღეს შეიმოსა ესთერი დედოფლურად და დადგა მეფის სასახლის შიდა ეზოში, მეფის სახლის წინ. მეფე კი თავის სამეფო ტახტზე იჯდა სამეფო სახლში, შესასვლელის პირდაპირ. და როგორც კი დაინახა მეფემ ეზოში მდგომი დედოფალი ესთერი, მადლი ჰპოვა ესთერმა მის თვალში და გაუწოდა მეფემ ესთერს ოქროს კვერთხი, ხელში რომ ეჭირა, და მიუახლოვდა ესთერი და კვერთხის თავს შეეხო. და უთხრა მას მეფემ: “რა იყო, დედოფალო ესთერ? და რა სათხოვარი გაქვს? თუნდაც ნახევარი სამეფოც რომ იყოს, მოგცემა!”

ესთერი შევიდა მეფესთან სათხოვრით და შეიცვალა სპარსეთის იმპერიის მთელი

ისტორიული კურსი. მარცხის და სირცხვილის ნაცვლად იუდეველი ხალხისა და მისი ხელმძღვანელების, მორდექაისა და ესთერის მდგომარეობა პატივისდებით შეიცვალა. კრიზისის შემობრუნების პერიოდი იყო სამი დღე, როდესაც ესთერი და მასთან ერთად მთელი ერი მარხულობდა სურაში და ეძებდნენ ღმერთს. ამის შემდეგ მათი ბედი შეიცვალა. როდესაც ესთერი შევიდა მეფესთან, მეფემ ჰკითხა: “რა გინდა? მოგცემ თუნდაც ნახევარი სამეფო იყოს.” სხვა სიტყვებით, ლოცვამ და მარხვამ გახსნა გზა იმისთვის, რისი გაკეთებაც ესთერს შეეძლო თავისი ხალხის სასარგებლოდ.

ესთერი ჩვენთვის დღეს მშვენიერი ნიმუშია. ღმერთი ეძებს ესთერის მსგავს ქალებს და კაცებს, ვინც ჩვენი კრიტიკული სიტუაციის ბუნებას იგებს და თავის თანამორწმუნეებთან ერთად მობრუნდება ღმერთისაკენ ლოცვით და მარხვით. ლოცვას და მარხვას კრიტიკულ სიტუაციაში კვლავ ძალუძს გამოინვიოს ღვთაებრივი ჩარევა მისი ხალხის სასარგებლოდ, ისევე როგორც ეს ესთერის დღეებში მოხდა. ღმერთი დღეს ღალადით მიმართავს თავის ხალხს, რომ საჭიროა ლოცვა და მარხვა.

თავი მეხუთე მომზადება გვიანი წვიმისათვის

ჩვენ განვიხილეთ ის განუზომელი ძალა, რომლის გამონთავისუფლებაც ხდება ლოცვით და მარხვით, როდესაც მათი გამოყენება ხდება სწორი მოტივით და წერილის პრინციპების თანახმად. ამ ძალას არა მარტო პიროვნებებისა და ოჯახების შეცვლა შეუძლია, არამედ მთელი ქალაქის, ერის და ცივილიზაციის. ამის ორი ისტორიული ბიბლიური მაგალითია ქალაქი ნინევეა იონას დროს და ებრაელთა მოდგმა სპარსეთის იმპერიაში ესთერის დროს. ორივე შემთხვევაში ისტორიის კურსი რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ხალხის ჯგუფმა ღმერთის წინაშე დაიმდაბლა თავი ლოცვით და მარხვით.

ეს, ისტორიის შემცვლელი ღმერთის ძალის გამოვლინება არ უნდა განვიხილოთ ისე, თითქოს ამას წარსულში ჰქონდა ადგილი. ეს ჩვენთვის დღეს შესაძლებელია მარხვით და ლოცვით, რომ მოვითხოვოთ ღმერთის ჩარევა ისე ძლიერად, როგორც ეს ბიბლიაშია დაწერილი. ეს არის გარდაუვალი საჭიროებაც და დიდებული შესაძლებლობაც. ფაქტიურად მე მჯერა, რომ ღმერთი მოელის ჩვენგან ამის გაკეთებას.

იმის გასაგებად, თუ რას ელოდება ღმერთი ჩვენგან, ვნახოთ იოელ წინასწარმეტყველის წიგნი. ღმერთის მიზანს, რაც მას ჩვენთვის აქვს

ბოლო დროისათვის, იოელი მოკლედ, მაგრამ გარკვევით მიმოიხილავს. იოელი თავის წიგნს იწყებს სრული განადგურებით და მარცხით. იოელი 1:8-12; წარმოგვიდგენს სასოწარკვეთილი და უიმედო სიტუაციის სურათს.

“იტირე ძაძით მოსილი ყმანვილქალივით, თავისი სიქალწულის ქმარს რომ დასტირის! შეწყდა შესანირავი და საღვრელი უფლის სახლში; გოდებენ მღვდლები, უფლის მსახურნი. გაჩანაგდა ყანები, გოდებს მიწა, რადგან გაოხრდა ხორბალი, გაშრა წვენი, გახმა ზეთისხილი. განბილდნენ მზენელები, მოთქვამენ მიწის მუშაკები პურზე და ქერზე, რადგან დაიღუპა სამკალი. გადახმა ვაზი და დაჭვნა ლელვი, გახმა მინდორში ბრონეული, ფინიკი და ვაშლი და მთელი ხეხილი: ამიტომაც გაუშრა სიხარული ადამის ძეს.”

მდგომარეობა ძალიან მძიმეა, განადგურება, დაზარალებული ნათესავები, უიმედობა და არანაირი სიხარული არ არის, მაგრამ შემდეგ ღმერთი ავლენს პრობლემის გადამჭრელ საშუალებას. იგივე წინასწარმეტყველის მეშვეობით მომდევნო მუხლებში ღმერთი შეაგონებს თავის ხალხს. იოელი 1:13-14;

“შემოირტყით ჯვალთ და იგლოვეთ, მღვდლებო! ივალაღეთ, სამსხვერპლოს მსახურნო! ნადით, ჯვალთში გაათიეთ ღამე, ჩემი ღვთის მსახურნო! რადგან შეწყდა თქვენი ღვთის სახლში შესანირავი და შეწყდა საღვრელი. დათქვით მარხვა, გამოაცხადეთ ჯარობა. შეყარეთ უხუცესნი, ქვეყნის ყოველი მკვიდრი, უფლის, თქვენი

ღვთის, სახლთან და უფალს შევალადეთ.”

ღმერთის წამალი განკურნებისათვის არის მარხვა და ღმერთის ძიება მსურვალე ლოცვით. ეს ნიშნავს მარხვისას დრო დაუთმო ღმერთს.

ღმერთი იგივე შეგონებას იმეორებს იოველი 2:12-ში.

“ახლაც - ამბობს უფალი: - “მოიქცეით ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით.” აქაც ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს მარხვა. ცოტა ქვემოთ ჩვენ ვკითხულობთ:

“ჩაბერეთ საყვირს სიონზე, დათქვით მარხვა და გამოაცხადეთ ჯარობა. შეჰყარეთ ერი, მოიწვიეთ საკრებულო, შეკრიბეთ უხუცესობა, შეჰყარეთ ჭაბუკები და ძუძუთა ბავშვები! გამოვიდეს სიძე თავის პალატიდან და პატარძალი - სანთიობოდან! ატირდებიან კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის მღვდლები, უფლის მსახურნი, და იტყვიან: “შეიწყალე, უფალო, ერი შენი! ნუ გახდი სასირცხვოდ შენს სამკვიდროს, ნუ ჩააგდებ ხალხების ყბაში! რატომ უნდა ილაპარაკონ: აბა სად არისო მათი ღმერთი?” იოველი 2:15-17;

აქ უკვე მოცემულია ალტქმული გამოხმაურება მისი ხალხის ლოცვაზე და მარხვაზე.

“ნუ გეშინიათ, ველის მხეცებო, რადგან ამოვა ბალახი უდაბნოს საძოვრებზე, რადგან ნაყოფს გამოიღებს ხე; ლეღვი და ვაზი გამოსცემენ თავიანთ დოვლათს. სიონის ძენო, იხარეთ და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღვთის გამო, რადგან მოგცემთ სიმაართლის მოძღვარს, გამოგიგზავნის ადრეულ და გვიან წვიმებს, წინანდებურად.

გაივსება ბელეები ხორბლით, გალიცლიცდება კოდები ღვინით და ზეთით. ავინაზლაურებთ იმ წლებს, რომლებიც შეჭამეს კალიამ, კუტკალიამ, ბოცომკალმა და მუხლუხომ - ჩემმა დიდმა ლაშქარმა, რომელიც მოგისიეთ. ჭამეთ და დაძებით და ადიდეთ უფლის, თქვენი ღვთის, სახელი, რომელიც საკვირვლად გექცევათ; და არ შერცხვება ჩემი ერი უკუნისამდე. მიხვდებით, რომ მე ისრაელის შუაგულში ვარ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი და სხვა არავინ არის, და რომ არ შერცხვება ჩემი ერი უკუნისამდე. ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და გაქადაგდებიან თქვენი ვაჟები და ასულები; თქვენი უხუცესები ნახავენ სიზმრებს და ჭაბუკები ხილვებს იხილავენ. ყმებზეც და მხეველებზეც მოვაფენ იმ დღეს ჩემს სულს.” იოველი 2:22-29;

მისი ხალხის ლოცვისა და მარხვის საპასუხოდ ღმერთი ამბობს: მე შეგწვევით თქვენ. მე შეეცვლი სიტუაციას, სრულიად მოგაშორებთ ბოცომკალს და მუხლუხოს და დავაკმაყოფილებ ყველა თქვენს საჭიროებას. გექნებათ სიუხვე და ერების მიერ მეტად აღარ იქნებით უგულვებლყოფილი. შენ შეგეძლება მაღლა ასწიო თავი და სხვა ხალხები იტყვიან, ნახეთ რა მოიმოქმედა ღმერთმა მათთვის.

ღმერთმა აღუთქვა, რომ ის წარმოგზავნის ასე საჭირო ადრეულ და გვიან წვიმას. ამის შემდეგ სულიერი მნიშვნელობით საუბრობს წვიმის შესახებ: “მე კაცთა მოდგმაზე გადმოვღვრი ჩემს სულიწმიდას.”

ახალ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ პეტრე მოციქულის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე, მას შემდეგ რაც სულიწმიდა გადმოვიდა მოწაფეებზე.

“მაგრამ ესაა ნათქვამი იოელ წინასწარმეტყველის მიერ: “იქნება უკანასკნელ დღეებში, - ამბობს ღმერთი, - რომ ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი. და თქვენი ჭაბუკნი ჩვენებას იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ. ჩემს მოწებზე და ჩემს მხევლებზე მოვაფენ იმ დღეებში ჩემი სულისაგან და აწინასწარმეტყველდებიან.” საქმ. 2:16-18;

ღმერთმა განამზადა თავისი ეკლესია სულიწმიდის საყოველთაო გადმოღვრისათვის ბოლო დღეებში. ეს არის ღმერთის პასუხი გარდაუვალ საჭიროებაზე და ზენოლაზე. ეს არის პასუხი სატანური უღმერთო ძალების მიმართ, რომელნიც მრავალი მხრიდან ზენოლაზე არიან გადმოსულნი ღმერთის ხალხის წინააღმდეგ. ასევე, ეს არის პასუხი იმ ბოცომკალისა და მუხლუხოს მიმართ, რომლებიც ღმერთის ეკლესიაში არიან. ღმერთს არ განუზრახავს მისი ხალხის დაუხმარებლად დატოვება ბოროტი ძალების ზენოლის დროს. ღმერთი უზრუნველყოფელია. მან აღგვიტქვა მისი სულის გადმოღვრა და დახმარება ზებუნებრივ დონეზე იმისათვის, რომ პირობა იყოს დაკმაყოფილებული, ის მოითხოვს ჩვენგან, რომ ლოცვით და მარხვით ვეძიოთ ის, როგორც კო

ლექტიურად, ასევე ინდივიდუალურად.

ყუარადლება მიაქციეთ აღთქმას იოველის 2:28-ში: *“ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს ყოველ ხორციელზე...”* რის შემდეგ? მას შემდეგ, რაც ჩვენ დავაკმაყოფილებთ ღმერთის დადგენილ პირობას. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ მარხვა, ვეძიოთ ღმერთი და შევიკრიბოთ ერთად ლოცვით და მარხვით. შემდეგ ის ამბობს, რომ ერთგული იქნება თავისი სიტყვისა, რაც მან თქვა ჩვენს შესახებ. ღმერთი ამბობს, რომ მოვა შენთან სულიწმიდის ძალით, რათა შეცვალოს მდგომარეობა. შიშის და მარცხის ნაცვლად, შენ გახდები ძლიერი და ეფექტური. ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნიერებამ დაგამციროს, ქვეყნიერება გადგება უკან, გაკვირვებული იმის გამო, რომ ღმერთი მოვიდა მისი ხალხის დასახმარებლად.

იოველის უწყება ღმერთის ხალხის მარხვისათვისა და ლოცვისათვის მოწოდებაში, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მისი ხალხის სულიერ ხელმძღვანელობას. აქ სამი პიროვნებაა ნახსენები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. მღვდლები, მსახურები და უხუცესები. იოველის 1:13-14; ჩვენ ვპოულობთ შემდეგს:

“შემოირტყით ჯვალთ და იგლოვეთ, მღვდლებო! ივალაღეთ, სამსხვერპლოს მსახურნო..... გაოცხადეთ ჯარობა. შეყარეთ უხუცესნი.....” აქ ყველა მითითება არის მღვდლებზე, მსახურებსა და უხუცესებზე.

იოველის 2:16-17-ში ღმერთის შეგონება არის შემდეგი.

“*შეჰყარეთ ერი, მოინვიეთ საკრებულო, შეკრიბეთ უხუცესობა..... ატირდებიან კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის მღვდლები, უფლის მსახურნი.*” არსებობს გარდაუვალი საჭიროება, რომ ღმერთის კაცს ჰყავდეს ხელმძღვანელი, როგორც მაგალითი, რომელიც ღმერთის ხალხს უჩვენებს კოლექტიური ლოცვისა და მარხვის ნიმუშს, რომ ღმერთი ჩაერიოს მისი ხალხის ცხოვრებაში, მათ სასარგებლოდ.

ეს ასევე იმ ერსაც შეეხება, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ასევე უნდა ვნახოთ 2ნეშტთ. 7:14; რომელიც ამ ჭეშმარიტებას განამტკიცებს:

“*და ჩემი ერი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, ქედს მოიდრეკს, ილოცებს, ძებნას დამინწყებს და შემობრუნდება თავისი უკეთური გზიდან, მაშინ ზეციდან მოვუსმენ, მივუტევებ ცოდვებს და განგუჟრნავ მათს ქვეყანას.*”

მე მჯერა, რომ ეს უწყება დღეს არის ჩვენთვის. ღმერთი გვეუბნება, რომ ის ჩაერევა ერის მდგომარეობაში. ის ძლიერია, არა მარტო პიროვნების ან ოჯახისათვის, არამედ ქალაქების, საზოგადოების, რეგიონის და მთელი ერისათვის.

ჩარევა ასეთი სახით, რომლის შესახებაც ღმერთი ამბობს 2ნეშტთ. 7:14-ში, მოითხოვს მისი პირობის შესრულებას. პირველი პირობა არის: თუ ჩემი ერი ქედს მოიდრეკს. ჩვენი სწავლები-სას ვნახეთ, რომ ეს ნიშნავს კოლექტიურ, ერთიან მარხვას და ლოცვას. გამოსყიდვის დღესასწაულიდან მოყოლებული, ეს ღმერთის მიერ იყო დადგენილი მისი ხალხისათვის, რათა დამ

დაბლდნენ მის წინაშე და ღმერთის დადგენილება არ შეცვლილა. ის ელოდება იმ ხელმძღვანელებს, ვინც თავმდაბლობით წარუძღვება მის ხალხს ერთიანი ლოცვისა და მარხვისაკენ. შემდეგ ის გვპირდება მოგვისმინოს, გვაპატიოს და განგუჟრნოს ქვეყანა.

მარხვა

ხოლო შენ, როცა მარხულობ, ...
შენი მამა,მოგიზღავს.
მათ. 6:17-18;

არ არსებობს იმ საოცარი ძალის გაზომვის საშუალება, რომელიც ლოცვისა და მარხვის საშუალებით ვლინდება, თუ მას სწორი მოტივებით და წმინდა წერილის თანახმად ვაკეთებთ.

დერეკ პრინსი

ავტორის შესახებ

დერეკ პრინსი არის საერთაშორისო დონის ბიბლიის მასწავლებელი. მან გამოსცა 30-ზე მეტი წიგნი, რომელიც გადაითარგმნა 50 ენაზე და მისი ყოველდღიური რადიოგადაცემა “დღეს დერეკ პრინსთან ერთად“ მოიცავს ნახევარ მსოფლიოს.